| <p>Intermediate outcome</p> <p>შუალედური შედეგები</p> | <p>Outcomes that are related to the outcome of interest but may be more easily assessed within the context of a clinical study; for example, blood pressure reduction is related to the risk of a stroke.</p> <p>შედეგები, რომლებიც უკავშირდება საკვლევ შედეგს, მაგრამ შეიძლება უფრო ადვილად შეფასდეს კლინიკური კვლევის კონტექსტში, მაგალითად, სისხლის წნევის შემცირება უკავშირდება ინსულტის რისკს.</p> |
| <p>Internal validity</p> <p>შიდა ვალიდურობა</p> | <p>The degree to which the results of a study are likely to approximate the ‘truth’ for the participants recruited in a study (that is, are the results free from bias?). It refers to the integrity of the design and is a prerequisite for applicability (external validity) of a study’s findings. See ‘External validity’.</p> <p>სავარაუდოდ რამდენად უახლოვდება კვლევის შედეგები კვლევის მონაწილეთა “ჭეშმარიტ” მონაცემებს (ანუ არის შედეგები ცდომილებისაგან თავისუფალი?). იგი უკავშირდება დიზაინის სრულყოფილებას და კვლევის გამოყენებადობის (გარე ვალიდურობის) წინაპირობაა. იხ. გარე ვალიდურობა.</p> |
| <p>Life-years gained</p> <p>მოპოვებული სიცოცხლის წლები</p> | <p>Average years of life gained per person as a result of the intervention.</p> <p>ინტერვენციის შედეგად ერთი პირის მიერ საშუალოდ შეძენილი სიცოცხლის წლები.</p> |
| <p>Likelihood ratio</p> | <p>The ratio of the probability that an individual with a condition has a specified test result to the probability that an individual without the</p> |

გაიდლაინების სახელმძღვანელო-დანართი

| | |
|---|--|
| ალბათობის კოეფიციენტი | <p>condition has the same specified test result.</p> <p>თანაფარდობა, რომლის მრიცხველი არის ალბათობა იმისა, რომ გარკვეული მდგომარეობის მქონე ინდივიდისთვის ტესტის ჩატარებით მიიღება გარკვეული შედეგი და მრიცხველი არის ალბათობა იმისა, რომ ინდივიდს, რომელსაც არ აქვს ეს მდგომარეობა ექნება ტესტის იგივე შედეგი.</p> |
| Medical devices სამედიცინო მოწყობილობა | <p>All products, except medicines, used in healthcare for the diagnosis, prevention, monitoring or treatment of illness or handicap.</p> <p>ყველა პროდუქტი, გარდა წამლებისა, რომლებიც გამოიყენება ჯანდაცვაში დაავადების ან ინვალიდობის დიაგნოსტიკის, პრევენციის, მონიტორინგის ან მკურნალობის.</p> |
| MeSH (medical subject headings) | <p>The US National Library of Medicine's controlled vocabulary thesaurus used for indexing articles from biomedical journals for databases such as MEDLINE.</p> <p>აშშ მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის კონტროლირებადი ლექსიკონი, რომელიც გამოიყენება MEDLINE-ის მსგავსი მონაცემთა ბაზებისათვის ბიოსამედიცინო ჟურნალებიდან სტატიების ინდექსაციისათვის.</p> |
| Meta-analysis მეტა-ანალიზი | <p>A statistical technique for combining (pooling) the results of a number of studies that address the same question and report on the same outcomes to produce a summary result. The aim is to derive more precise and clear information from a large data pool. It is generally more likely to reliably confirm or refute a hypothesis than the individual trials.</p> <p>სტატისტიკური ტექნიკა, რომელიც გამოიყენება ჯამური შედეგის მიღების მიზნით რამოდენიმე ისეთი კვლევის შედეგის კომბინირებისათვის, რომლებიც ეხება ერთსა და იმავე საკითხს და მიუთითებს ერთსა და იმავე გამოსავალს. ეს მიზნად ისახავს ფართო მონაცემთა ნაკრებიდან უფრო ზუსტი და ნათელი ინფორმაციის მიღებას. ზოგადად, სავარაუდოა ჰიპოთეზის უფრო სანდოდ დადასტურება ან უარყოფა, ვიდრე ინდივიდუალური კვლევის საფუძველზე.</p> |
| Mixed treatment analysis მკურნალობის შერეული ანალიზი | <p>An analysis that compares two or more interventions using a combination of direct evidence (from head-to-head trials of the interventions of interest) and indirect evidence (trials that do not compare the interventions of interest directly in head-to-head trials).</p> <p>ანალიზი, რომელიც ადარებს ორ ან მეტ ინტერვენციას პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების კომბინაციის გამოყენებით.</p> |
| Multivariate model მულტივარიანტული მოდელი | <p>A statistical model for analysis of the relationship between two or more predictor (independent) variables and the outcome (dependent) variable.</p> <p>სტატისტიკური მოდელი ორ ან მეტ პრედიქტორ (დამოუკიდებელ) ცვლადსა და შედეგის (დამოკიდებულ) ცვლადს შორის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის.</p> |
| Narrative summary მოკლე შინაარსი | <p>Summary of findings given as a written description.</p> <p>შედეგების მოკლე წერილობითი აღწერილობა</p> |
| Negative predictive value უარყოფითი პროგნოზული | <p>The proportion of individuals with a negative test result who do NOT have the disease.</p> <p>ტესტის უარყოფითი პასუხის მქონე ინდივიდთა პროპორცია,</p> |

გაიდლაინების სახელმძღვანელო-დანართი

| | |
|--|---|
| ღირებულება | ვისაც არ აქვს დაავადება. |
| Number needed to harm რაოდენობა, რომელსაც შეიძლება ვავნოთ | The average number of people from a defined population that would need to be treated with a specific intervention for a given period of time to cause one additional adverse outcome. განსაზღვრული პოპულაციის ადამიანთა საშუალო რაოდენობა, ვისაც უნდა ჩაუტარდეს გარკვეული ინტერვენცია დროის მოცემულ პერიოდში იმისათვის, რომ გამოიწვიოს ერთი დამატებითი არასასურველი გამოსავალი. |
| Number needed to treat (NNT) მკურნალობისთვის საჭირო რაოდენობა | The number of patients that on average must be treated to prevent a single occurrence of the outcome of interest. პაციენტთა რაოდენობა, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ მკურნალობა განსაზღვრული გამოსავლის ერთი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად. |
| Observational study ობსერვაციული კვლევა | Retrospective or prospective study in which the investigator observes the natural course of events with or without control groups; for example, cohort studies and case-control studies. რეტროსპექტული ან პროსპექტული კვლევა, რომლის დროსაც მკვლევარი აკვირდება მოვლენების ბუნებრივ განვითარებას საკონტროლო ჯგუფის არსებობის ან არარსებობის პირობებში, მაგალითად, კოჰორტული ან შემთხვევა-კონტროლის ტიპის კვლევები. |
| Odds ratio შანსების თანაფარდობა | A measure of treatment effectiveness. The odds of an event happening in the treatment group, expressed as a proportion of the odds of it happening in the control group. The 'odds' is the ratio of non-events to events. მკურნალობის ეფექტურობის საზომი. მკურნალობის ჯგუფში მოვლენის განვითარების შანსი, გამოხატული თანაფარდობით საკონტროლო ჯგუფში იგივეს შანსთან. “შანსი” არის თანაფარდობა მოვლენის არარსებობის სიხშირისა არსებობასთან. |
| Off-label | A drug or device used treat a condition or disease for which it is not specifically licensed. წამალი ან მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ისეთი მდგომარეობის ან დაავადების სამკურნალოდ, რომლისათვისაც მას არ აქვს ლიცენზია. |
| Operating costs საოპერაციო ხარჯები | Ongoing costs of carrying out an intervention, excluding capital costs. ინტერვენციის ჩატარების მიმდინარე ხარჯები, კაპიტალური ხარჯების გარდა. |
| Opportunity cost ალტერნატივის ღირებულება | The opportunity cost of investing in a healthcare intervention is the other healthcare programmes that are displaced by its introduction. This may be best measured by the health benefits that could have been achieved had the money been spent on the next best alternative healthcare intervention. ჯანდაცვით ინტერვენციაში ინვესტირების ალტერნატივის ღირებულება არის სხვა სამედიცინო პროგრამა, რომელიც ჩაანაცვლა ამ ინტერვენციამ. ამის საუკეთესო საზომია სარგებელი ჯანმრთელობისათვის, რომლის მიღწევაც შეიძლებოდა შემდეგ საუკეთესო ალტერნატივაზე ფულის დახარჯვის შემთხვევაში. |

გაიდლაინების სახელმძღვანელო-დანართი

| | |
|---|---|
| <p>Outcome გამოსავალი</p> | <p>Measure of the possible results that may stem from exposure to a preventative or therapeutic intervention. Outcome measures may be intermediate or final endpoints. See ‘Intermediate outcome’.</p> <p>პრევენციული ან სამკურნალო ინტერვენციის შესაძლო შედეგის საზომი. გამოსავლის საზომი შეიძლება იყოს შუალედური ან საბოლოო შედეგი.</p> |
| <p>p-values p-სიდიდე</p> | <p>The probability that an observed difference could have occurred by chance, assuming that there is in fact no underlying difference between the means of the observations. If the probability is less than 1 in 20, the P value is less than 0.05; a result with a P value of less than 0.05 is conventionally considered to be ‘statistically significant’.</p> <p>ალბათობა იმისა, რომ გამოვლენილი განსხვავება შეიძლება შემთხვევითი იყოს, რაც გულისხმობს რომ სინამდვილეში ასეთი განსხვავება არ არსებობს. თუ ალბათობა 20 შემთხვევაში 1-ზე ნაკლებია, მაშინ P-სიდიდე 0.05-ზე ნაკლებია. შედეგი, როდესაც P-სიდიდე 0.05-ზე ნაკლებია პირობითად ითვლება “სტატისტიკურად სარწმუნოდ”.</p> |
| <p>Patent პატენტი</p> | <p>An official licence that confers a company the sole right, for a defined period, to make, use and sell a particular item it has invented/discovered.</p> <p>ოფიციალური ლიცენზია, რომელიც ადასტურებს, რომ კომპანიას აქვს ერთპიროვნული უფლება, გარკვეული დროის განმავლობაში, აწარმოოს, გამოიყენოს და გაყიდოს მის მიერ შექმნილი/აღმოჩენილი კონკრეტული პროდუქტი.</p> |
| <p>Peer review ექსპერტული შეფასება</p> | <p>A process where research is scrutinised by experts that have not been involved in the design or execution of the studies.</p> <p>პროცესი, როდესაც კვლევა შეისწავლება ექსპერტთა მიერ, რომლებიც არ მონაწილეობდნენ კვლევის დაგეგმვასა ან შესრულებაში.</p> |
| <p>Placebo პლაცებო</p> | <p>An inactive and physically identical medication or procedure used as a comparator in controlled clinical trials.</p> <p>არააქტიური და ფიზიკურად იდენტური წამალი ან პროცედურა, რომელიც გამოიყენება კონტროლირებად კლინიკურ კვლევებში კომპარატორის სახით.</p> |
| <p>Positive predictive value დადებითი პროგნოზული ღირებულება</p> | <p>The proportion of individuals with a positive test result who actually have the disease.</p> <p>ინდივიდთა ნაწილი ტესტის დადებითი შედეგით, რომელთაც რეალურად აქვთ დაავადება.</p> |
| <p>Pre-publication check შემოწმება გამოქვეყნებამდე</p> | <p>A new step in the clinical guideline development process that enables registered stakeholders to raise concerns about factual errors that may exist in a guideline after consultation and before its publication.</p> <p>ახალი ნაბიჯი კლინიკური გაიდლაინის შემუშავების პროცესში, რომელიც საშუალებას აძლევს დარეგისტრირებულ დაინტერესებულ მხარეებს გამოთქვან წუხილი ფაქტობრივი შეცდომების გამო, რომლებიც შეიძლება არსებობდეს გაიდლაინში კონსულტაციის შემდეგ და მის გამოქვეყნებამდე.</p> |
| <p>Primary research პირველადი კვლევა</p> | <p>Study generating original data rather than analysing data from existing studies (which is called secondary research).</p> <p>კვლევა, რომლის მიზანია ორიგინალური მონაცემების მიღება და არა არსებული კვლევების მონაცემთა ანალიზი (რასაც</p> |

გაიდლაინების სახელმძღვანელო-დანართი

| | |
|--|--|
| | მეორადი კვლევა ეწოდება). |
| Prognosis პროგნოზი | <p>A probable course or outcome of a disease. Prognostic factors are patient or disease characteristics that influence the course. Good prognosis is associated with low rate of undesirable outcomes; poor prognosis is associated with a high rate of undesirable outcomes.</p> <p>დაავადების სავარაუდო მიმდინარეობა ან გამოსავალი. პროგნოზული ფაქტორები არის პაციენტის ან დაავადების მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის მიმდინარეობაზე. კარგი პროგნოზი ასოცირებულია არასასურველი გამოსავლის დაბალ სიხშირესთან; ცუდი პროგნოზი ასოცირებულია არასასურველი გამოსავლის მაღალ სიხშირესთან.</p> |
| Proprietary name დაპატენტებული სახელი | <p>The brand name given by the manufacturer to a drug or device it produces.</p> <p>ბრენდის სახელი, რომელსაც მწარმოებელი არქმევს მის მიერ წარმოებულ წამალს ან მოწყობილობას.</p> |
| QUADAS-quality assessment of diagnostic accuracy studies დიაგნოსტიკური სიზუსტის კვლევების ხარისხის შეფასება | <p>A tool for the quality assessment of studies on the accuracy of diagnostic technologies.</p> <p>დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების სიზუსტის შემსწავლელი კვლევების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი.</p> |
| Qualitative research თვისობრივი კვლევა | <p>Research concerned with subjective outcomes relating to social, emotional and experiential phenomena in health and social care.</p> <p>კვლევა, რომელიც შეისწავლის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სოციალური, ემოციური და გამოცდილებითი ფენომენების სუბიექტურ შედეგებს.</p> |
| Quality of life ცხოვრების ხარისხი | <p>See 'Health-related quality of life'.</p> <p>იხ. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხი</p> |
| Quality-adjusted life-year (QALY) ხარისხიანი სიცოცხლის წლები | <p>An index of survival that is adjusted to account for the patient's quality of life during this time. QALYs have the advantage of incorporating changes in both quantity (longevity/mortality) and quality (morbidity, psychological, functional, social and other factors) of life. Used to measure benefits in cost-utility analysis.</p> <p>გადარჩენის ინდექსი, რომელიც კორეგირებულია ამ დროის განმავლობაში პაციენტის სიცოცხლის ხარისხის ასახვის მიზნით. ასახავს ცვლილებას სიცოცხლის, როგორც რაოდენობრივი (ხანგრძლივობა/სიკვდილობა), ასევე ხარისხობრივი (ავადობა, ფსიქოლოგიური, ფუნქციური, სოციალური და სხვა ფაქტორები) თვალსაზრისით. იგი გამოიყენება სარგებლის საზომად ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის დროს.</p> |
| Quick reference guide გაიდლაინის მოკლე ვერსია | <p>A short, printed version of a clinical guideline. This is designed for use by healthcare professionals and other staff who will be following the guidance. It contains the recommendations (or a summary of the recommendations) but not the supporting evidence.</p> <p>კლინიკური გაიდლაინის მოკლე, ნაბეჭდი ვერსია. იგი შექმნილია ჯანდაცვის პროფესიონალებისა და სხვა პერსონალისათვის, რომლებმაც ეს გაიდლაინი უნდა გამოიყენონ. იგი მოიცავს რეკომენდაციებს (ან რეკომენდაციების მოკლე შეჯამებას), მაგრამ არა მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი ჩამოყალიბება.</p> |

გაიდლაინების სახელმძღვანელო-დანართი

| | |
|--|--|
| <p>Randomisation რანდომიზაცია</p> | <p>Allocation of participants in a research study to two or more alternative groups using a chance procedure, such as computer-generated random numbers. This approach is used in an attempt to ensure there is an even distribution of participants with different characteristics between groups and thus reduce sources of bias.</p> <p>კვლევის დროს მონაწილეთა განაწილება ორ ან მეტ ალტერნატიულ ჯგუფში შემთხვევითად, მაგალითად კომპიუტერის მიერ გენერირებული შემთხვევითი რიცხვების მიხედვით.</p> |
| <p>Randomised controlled trial (RCT) რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა</p> | <p>A comparative study in which participants are randomly allocated to intervention and control groups and followed up to examine differences in outcomes between the groups.</p> <p>შედარებითი კვლევა, რომელშიც მონაწილეები შემთხვევითად არიან განაწილებულნი ინტერვენციისა და საკონტროლო ჯგუფებში, და მათ აკვირდებიან ჯგუფებს შორის შედეგის განსხვავების გამოვლენის მიზნით.</p> |
| <p>Recommendations რეკომენდაციები</p> | <p>Formal, numbered paragraphs that give specific advice on using a drug or other treatment, diagnosing or treating a condition, or helping people lead healthier lives.</p> <p>ფორმალური, დანომრილი პარაგრაფები, რომლებიც იძლევა კონკრეტულ რჩევას წამლის ან სხვა სახის მკურნალობის გამოყენების, მდგომარეობის დიაგნოსტიკის ან მკურნალობის, ან უფრო ჯანმრთელი ცხოვრების ხელშეწყობის შესახებ.</p> |
| <p>Reference standard (or gold standard) რეფერენს სტანდარტი (ან ოქროს სტანდარტი)</p> | <p>An agreed standard, for example for a test or treatment, against which other interventions can be compared.</p> <p>შეთანხმებული სტანდარტი, მაგალითად, ტესტი ან მკურნალობა, რომელსაც შეიძლება შედარდეს სხვა ინტერვენციას.</p> |
| <p>Relative risk (RR) ფარდობითი რისკი</p> | <p>The number of times more likely or less likely an event is to happen in one group compared with another (calculated as the risk of the event in group A/the risk of the event in group B).</p> <p>რამდენჯერ უფრო მეტად სავარაუდოა ან ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოვლენა განვითარდეს ერთ ჯგუფში მეორესთან შედარებით (გამოითვლება, როგორც მოვლენის რისკი A ჯგუფში შეფარდებული მოვლენის რისკთან B ჯგუფში).</p> |
| <p>Relative risk reduction ფარდობითი რისკის შემცირება</p> | <p>The proportional reduction in risk between experimental and control participants in a trial. It is the complement of the relative risk.</p> <p>რისკის პროპორციული შემცირება კვლევის ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებს შორის. განიხილება, როგორც ფარდობითი რისკის დამატება.</p> |
| <p>Reliability/repeatability სანდობა/განმეორებადობა</p> | <p>The degree of agreement exhibited when a measurement is repeated under identical conditions. Reliability refers to the degree to which the results obtained by a measurement procedure can be replicated.</p> <p>თანხმობის? ხარისხი, როდესაც გაზომვა მეორდება იდენტურ პირობებში. სანდობა მიუთითებს თუ რამდენად შესაძლოა გაზომვითი პროცედურით მიღებული შედეგის რეპლიკაცია.</p> |
| <p>Review of the literature ლიტერატურის მიმოხილვა</p> | <p>An article that summarises the evidence contained in a number of different individual studies and draws conclusions about their findings. It may or may not be systematically researched and</p> |

გაიდლაინების სახელმძღვანელო-დანართი

| | |
|---|--|
| | <p>developed.</p> <p>სტატია, რომელშიც შეჯამებული სახით მოცემულია სხვადასხვა ინდივიდუალურ კვლევაში ასახული მტკიცებულებები და გამოტანილია დასკვნები მათი შედეგების შესახებ. იგი შეიძლება იყოს სისტემატური ან არა სისტემატური ხასიათის.</p> |
| <p>Review question მიმოხილვის შეკითხვა</p> | <p>A structured question about treatment and care that is formulated by the GDG from a structured clinical question in the scope to guide the systematic review. A review question has four components:</p> <ul style="list-style-type: none"> • patients (the population under study) • interventions (what is being done) • comparisons (other main treatment options) • outcomes. <p>სტრუქტურირებული შეკითხვა მკურნალობის ან დახმარების შესახებ, რომელიც ფორმულირებულია გაიდლაინის სამუშაო ჯგუფის მიერ სტრუქტურირებული კლინიკური შეკითხვის საფუძველზე სისტემატური მიმოხილვის ჩატარების მიზნით.</p> <p>მიმოხილვის შეკითხვას აქვს ოთხი კომპონენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • პაციენტები (საკვლევი პოპულაცია) • ინტერვენციები (რა კეთდება) • შედარება (მკურნალობის სხვა ძირითადი ვარიანტები) • შედეგები |
| <p>Scope მოცულობა</p> | <p>This term relates to technology appraisals, clinical guidelines and public health guidance.</p> <p>Document created at the start of producing a piece of guidance outlining what the guidance will and will not cover. Organisations registered as stakeholders, consultees or commentators can comment on the draft scope during a consultation period. The final version of the scope – taking into account comments from the consultation – is used as a starting point for developing the guidance.</p> <p>ეს ტერმინი უკავშირდება ტექნოლოგიის შეფასებას, კლინიკურ გაიდლაინებს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სახელმძღვანელოებს.</p> <p>გაიდლაინის შემუშავების საწყის ეტაპზე იქმნება დოკუმენტი, რომლის ასახავს რას მოიცავს გაიდლაინი და რას არა. დაინტერესებულ მხარედ რეგისტრირებულ ორგანიზაციებს, კონსულტანტებსა და კომენტატორებს შეუძლიათ კომენტარის გაკეთება მოცულობის დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე კონსულტაციის პერიოდში. მოცულობის საბოლოო ვერსია – კონსულტაციის ფაზაში მიღებული კომენტარების გათვალისწინებით – გამოიყენება როგორც გაიდლაინის შემუშავების ამოსავალი წერტილი.</p> |
| <p>Scope notes (databases) მონაცემთა ბაზა</p> | <p>Scope notes provide additional information about database indexing terms, for example when the term was first used for indexing, how the term is applied in the database and used-for terms and see-</p> |

| | |
|---|---|
| | <p>related terms.</p> <p>მოცულობის დოკუმენტის შენიშვნები იძლევა დამატებით ინფორმაციას მონაცემთა ბაზების ტერმინთა ინდექსაციის შესახებ, მაგალითად როდესაც ტერმინი პირველად გამოიყენება ინდექსაციისათვის, როგორ გამოიყენება ტერმინი მონაცემთა ბაზაში და სხვა.</p> |
| <p>Search filter ძიების ფილტრი</p> | <p>A collection of search terms designed to retrieve selections of records, for example records of research using a specific study design or on a specific topic¹</p> <p>¹ InterTASC Information Specialists' Sub-Group, 'Search filter resource' [online]. Available from: www.york.ac.uk/inst/crd/intertasc/about.htm [accessed 28 July 2008].</p> <p>საძიებო ტერმინთა ნაკრები, რომელიც ჩამოყალიბებულია შერჩეული ჩანაწერების მოსაპოვებლად, მაგალითად ჩანაწერები კვლევების შესახებ, რომლებშიც გამოყენებულია გარკვეული სახის დიზაინი ან ეძღვნება გარკვეულ თემას¹</p> <p>¹ InterTASC Information Specialists' Sub-Group, 'Search filter resource' [online]. Available from: www.york.ac.uk/inst/crd/intertasc/about.htm [accessed 28 July 2008].</p> |
| <p>Secondary benefits მეორადი სარგებელი</p> | <p>Benefits resulting from a treatment in addition to the primary, intended outcome.</p> <p>სარგებელი, რომელიც მიიღება მკურნალობის შედეგად პირველად, განზრახულ სარგებელთან დამატებით.</p> |
| <p>Selection bias (also allocation bias) შერჩევის სისტემური ცდომილება</p> | <p>A systematic bias in selecting participants for study groups, so that the groups have differences in prognosis and/or therapeutic sensitivities at baseline. Randomisation (with concealed allocation) of patients protects against this bias.</p> <p>კვლევის ჯგუფებისათვის მონაწილეთა შერჩევის სისტემური ცდომილება ისე, რომ საწყის ეტაპზე ჯგუფები განსხვავდება პროგნოზის და/ან მკურნალობისადმი მგრძობელობის მიხედვით. პაციენტთა რანდომიზაცია (დაფარული განაწილებით) ასეთი ცდომილებისაგან დაცვის საშუალებაა.</p> |
| <p>Sensitivity (of a test) მგრძობელობა (ტესტის)</p> | <p>The proportion of individuals classified as positive by the gold (or reference) standard, who are correctly identified by the study test.</p> <p>ოქროს (ან რეფერენს) სტანდარტის მიხედვით დადებითად კლასიფიცირებული ინდივიდთა ნაწილი, რომლებიც სწორად არიან იდენტიფიცირებულნი საკვლევი ტესტის მეშვეობით.</p> |
| <p>Sensitivity analysis მგრძობელობის ანალიზი</p> | <p>A means of representing uncertainty in the results of economic evaluations. Uncertainty may arise from missing data, imprecise estimates or methodological controversy. Sensitivity analysis also allows for exploring the generalisability of results to other settings. The analysis is repeated using different assumptions to examine the effect on the results.</p> <p>One-way simple sensitivity analysis (univariate analysis): each parameter is varied individually in order to isolate the consequences of each parameter on the results of the study.</p> <p>Multi-way simple sensitivity analysis (scenario analysis): two or more parameters are varied at the same time and the overall effect on the results is evaluated.</p> |

| | |
|---|---|
| | <p>Threshold sensitivity analysis: the critical value of parameters above or below which the conclusions of the study will change are identified.</p> <p>Probabilistic sensitivity analysis: probability distributions are assigned to the uncertain parameters and are incorporated into evaluation models based on decision analytical techniques (for example, Monte Carlo simulation).</p> <p>ეკონომიკურ შეფასებასთან დაკავშირებით არსებული გაურკვევლობის წარმოდგენის საშუალება. გაურკვევლობა შეიძლება გამოწვეული იყოს მონაცემების ნაკლებობით, არაზუსტი დაანგარიშებით ან წინააღმდეგობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მგრძნობელობის ანალიზი იძლევა, ასევე, სხვა პირობებში შედეგების განზოგადებადობის შესწავლის საშუალებას. ანალიზი მეორდება სხვადასხვა ვარაუდების გამოყენებით, შედეგებზე მათი გავლენის დასადგენად.</p> <p>მგრძნობელობის ერთ-მხრივი მარტივი ანალიზი (უნივარიანტული ანალიზი): ყოველი პარამეტრი იცვლება ინდივიდუალურად იმისათვის, რომ მოხდეს თითოეული პარამეტრის კვლევის შედეგებზე გავლენის იზოლირება.</p> <p>მგრძნობელობის მრავალმხრივი ანალიზი (სცენარით ანალიზი): ორი ან მეტი პარამეტრი იცვლება ერთდროულად და ფასდება ჯამური ზეგავლენა შედეგზე.</p> <p>ზღურბლოვანი მგრძნობელობის ანალიზი: პარამეტრების კრიტიკული მნიშვნელობა, რომლის ზემოთ ან ქვემოთ კვლევის დასკვნები შეიცვლება დადგენილი სახით.</p> <p>ალბათობის (სავარაუდო?) მგრძნობელობის ანალიზი: ყალიბდება უცნობი პარამეტრების სავარაუდო განაწილება და შედის შეფასების მოდელში გადაწყვეტილების ანალიტიკური ტექნიკის მიხედვით (მაგ, მონტე კარლოს სიმულაცია).</p> |
| <p>Specificity (of a test) სპეციფიკურობა (ტესტის)</p> | <p>The proportion of individuals classified as negative by the gold (or reference) standard, who are correctly identified by the study test.</p> <p>ოქროს (ან რეფერენს) სტანდარტის მიხედვით უარყოფითად კლასიფიცირებული ინდივიდთა ნაწილი, რომლებიც სწორად არიან იდენტიფიცირებულნი საკვლევი ტესტის მეშვეობით.</p> |
| <p>Stakeholder დაინტერესებული მხარე</p> | <p>An organisation with an interest in a topic that the MoLHSA is developing a clinical guideline or piece of public health guidance on. Organisations that register as stakeholders can comment on the draft scope and the draft guidance. Stakeholders may be:</p> <ul style="list-style-type: none"> • manufacturers of drugs or equipment • national patient and carer organisations • Other government organisations |

გაიდლაინების სახელმძღვანელო-დანართი

| | |
|--|--|
| | <ul style="list-style-type: none"> organisations representing healthcare professionals. <p>ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია იმ თემით, რომელზედაც შჯსდს ქმნის კლინიკურ გაიდლაინს ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმძღვანელოს. ორგანიზაციებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან როგორც დაინტერესებული მხარეები შეუძლიათ კომენტარების გაკეთება გაიდლაინის მოცულობის დოკუმენტის პროექტზე ან საკუთრივ გაიდლაინის პროექტზე.</p> |
| <p>Statistical power სტატისტიკური სიმძლავრე</p> | <p>The ability to demonstrate an association when one exists. Power is related to sample size; the larger the sample size, the greater the power and the lower the risk that a possible association could be missed.</p> <p>ასოციაციის დემონსტრირების საშუალება მისი არსებობის შემთხვევაში. სიმძლავრე დაკავშირებულია ამონაკრების ზომასთან, რაც უფრო დიდია ამონაკრები, მით მეტია სიმძლავრე და უფრო ნაკლებია შესაძლო ასოციაციის გამორჩენის რისკი.</p> |
| <p>Structured clinical question სტრუქტურირებული კლინიკური შეკითხვა</p> | <p>A question that relates to the clinical and cost effectiveness of interventions or tests that are being considered for a given population in the guideline scope. This is not as detailed as a review question.</p> <p>შეკითხვა, რომელიც ეხება გაიდლაინის ფარგლებში მოცემული პოპულაციისათვის ინტერვენციის ან ტესტის კლინიკურ ასპექტს ან ხარჯ-ეფექტურობას. იგი არ არის ისეთივე დეტალური, როგორც მიმოხილვის შეკითხვა.</p> |
| <p>Synthesis of evidence მტკიცებულებათა სინთეზი</p> | <p>A generic term to describe methods used for summarising (comparing and contrasting) evidence into a clinically meaningful conclusion in order to answer a defined clinical question. This can include systematic review (with or without meta-analysis), qualitative and narrative summaries.</p> <p>საერთო ტერმინი, რომელიც ასახავს განსაზღვრული კლინიკური შეკითხვის პასუხის გაცემის მიზნით მტკიცებულებების კლინიკური აზრის მქონე დასკვნის სახით შეჯამებისათვის (შედარებისა და შეპირისპირების) გამოყენებულ მეთოდებს. ეს შეიძლება მოიცავდეს სისტემურ მიმოხილვას (მეტა-ანალიზით ან მის გარეშე), თვისობრივ და თხრობით რეზიუმეს.</p> |
| <p>Systematic review სისტემური მიმოხილვა</p> | <p>Research that summarises the evidence on a clearly formulated question according to a predefined protocol using systematic and explicit methods to identify, select and appraise relevant studies, and to extract, collate and report their findings. It may or may not use statistical meta-analysis.</p> <p>კვლევა, რომელიც აჯამებს ნათლად ჩამოყალიბებული შეკითხვის შესახებ არსებულ მტკიცებულებებს წინასწარ განსაზღვრული პროტოკოლის მიხედვით სისტემური და ზუსტი მეთოდების გამოყენებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება შესაბამისი კვლევების იდენტიფიკაცია, შერჩევა და შეფასება, და მათი შედეგების ამოკრება, შეჯერება და მოხსენება. იგი შეიძლება იყენებდეს ან არ იყენებდეს სტატისტიკურ მეტა-ანალიზს.</p> |
| <p>Technology assessment ტექნოლოგიის შეფასება</p> | <p>The process of evaluating the clinical, economic and other evidence relating to use of a technology in order to formulate guidance on its</p> |

გაიდლაინების სახელმძღვანელო-დანართი

| | |
|--|--|
| | <p>most efficient use.</p> <p>ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებული კლინიკური, ეკონომიკური და სხვა სახის მტკიცებულებების შეფასება, მისი ყველაზე ეფექტური გამოყენებისათვის რეკომენდაციების ფორმულირების მიზნით.</p> |
| <p>Test-and-treat strategy</p> <p>”გამოიკვლიე და უმკურნალე” სტრატეგია</p> | <p>Testing all individuals presenting with suspected of having a condition, and treating only those with a particular test result.</p> <p>გარკვეულ მდგომარეობაზე საექვო ყველა ინდივიდის ტესტირება და შემდეგ მხოლოდ მათი მკურნალობა, ვისაც გარკვეული ტესტის შედეგი აქვს.</p> |
| <p>Treatment allocation</p> <p>მკურნალობისთვის განაწილება</p> | <p>Assigning a participant to a particular arm of a trial.</p> <p>მონაწილის განაწილება კვლევის გარკვეულ ჯგუფში</p> |
| <p>Treatment options</p> <p>მკურნალობის ვარიანტები</p> | <p>The choices of intervention available.</p> <p>არსებული ინტერვენციების არჩევანი</p> |
| <p>Patient version of the guideline</p> <p>გაიდლაინის ვერსია პაციენტისთვის</p> | <p>A summary of guidelines in everyday language for patients, carers and the general public.</p> <p>გაიდლაინის მოკლე შეჯამება პაციენტებისათვის, მომვლელებისა და ზოგადად მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე.</p> |
| <p>Utility</p> <p>უტილიტური ერთეული</p> | <p>A measure of the strength of an individual’s preference for a specific health state in relation to alternative health states. The utility scale assigns numerical values on a scale from 0 (death) to 1 (optimal or ‘perfect’ health). Health states can be considered worse than death and thus have a negative value.</p> <p>ინდივიდის მიერ ჯანმრთელობის გარკვეული მდგომარეობისათვის ალტერნატიულ მდგომარეობასთან შედარებით უპირატესობის მინიჭების საზომი. უტილიტარობის შკალა რიცხობრივ მნიშვნელობას ანიჭებს 0-დან (სიკვდილი) 1-მე (ოპტიმალური ან “სრული” ჯანმრთელობა) შკალაზე. ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს სიკვდილზე უარესად და ამდენად ჰქონდეს უარყოფითი მნიშვნელობა.</p> |
| <p>Utility weight</p> <p>უტილიტური წონა</p> | <p>The utility weight of a certain health state is most often expressed as a value on a scale of 0 to 1, where 0 represents death and 1 represents perfect health. To measure utility weights of a certain health state, i.e. the quality of life experienced when in that health state, large patient surveys are performed using questionnaires such as the EuroQol instrument.</p> <p>ჯანმრთელობის გარკვეული მდგომარეობის უტილიტარობის წონა ყველაზე ხშირად გამოიხატება 0-დან 1-მდე შკალაზე განსაზღვრული მნიშვნელობით, სადაც 0 შეესაბამება სიკვდილს და 1 – სრულ ჯანმრთელობას. ჯანმრთელობის გარკვეული მდგომარეობის უტილიტარობის წონის ანუ ასეთ მდგომარეობაში სიცოცხლის ხარისხის დასადგენად ტარდება პაციენტთა ფართომასშტაბიანი კვლევები კითხვარის გამოყენებით, როგორცაა მაგალითად EuroQol.</p> |